

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

მე-10 კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (60 ქულა)

- ჩამოთვლილთაგან რომელი ფუძეა არასრული?
ა) მძევლით; ბ) ტელეფონის; გ) სათვალემ;
- ჩამოთვლილთაგან რომელ ფუძეში ხდება „ო“-ს კუმშვა?
ა) მტკვარი; ბ) გოდორი; გ) ვერძი;
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული კუმშვად-კვეცადი სახელი?
ა) რუს ჩურჩული ესმოდათ ჩიტებს.
ბ) პეპლის ფარფატის ყურება უყვარდა პატარა გიორგის.
გ) არაგვის ხეობას შეაფარა თავი მეფემ.
- რომელია მოქმედებითი ბრუნვის თანდებულები?
ა) თვის, ვით, დან, კენ, თან; ბ) გან, დან, ვით, კენ, თვის; გ) -ურთ, -გან;
- რომელი თანდებული არის სახელობითი ბრუნვისა?
ა) ზე; ბ) ვით; გ) გან;
- რომელია ხარისხის ფორმის მაწარმოებელი აფიქსები?
ა) უ-ეს, სა-ე; ბ) მო-ე, სა-ო; გ) მო-ო, უ-ეს;
- რამდენი მწკრივია მე-2 სერიაში?
ა) სამი; ბ) ორი; გ) ექვსი;
- რომელია ხოლმეობით-შედევობითის მწკრივის ფორმა?
ა) მოვივლი; ბ) დავიღლებოდე; გ) ვისრიალებდი;
- რომელი მწკრივის ფორმაა „გამითენდა“?
ა) I თურმეობითის; ბ) უწყვეტლის; გ) წყვეტილის;
- რომელ ფორმაშია ძირი და წარმომქმნელი აფიქსი სწორად გამოყოფილი?
ა) სა-დარაჯ-ო ბ) სამ-შვილ-დე; გ) სა-ბედ-ის-წერო;
- რომელი სიტყვაა მხოლოდ ბოლოსართით ნაწარმოები?
ა) დათუნია; ბ) უმშობლო; გ) სანეტარო;
- რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?
ა) ბილიკი; ბ) ფარა; გ) წყარო;
- რომელ წინადადებაშია კომპოზიტი სწორი ფორმით?
ა) ისევდასევ ვიმეორებთ შეცდომებს.
ბ) სად გაიცრიცა შენი სხივმოსილი სახე?
გ) რად არ გესმის დედამისა, ბაღლო?
- რომელ წინადადებაში არაა შეცდომა?
ა) ეს სახელი დიდად საამაყოდ ჟღერს.
ბ) არავის გაუგონია მისი უეცარი გაუჩინარება.
გ) ფაქტიურად ყველაფერი მოაგვარეს მეგობრებმა.
- რომელია მცდარი ფორმა?
ა) გზა და გზა; ბ) სამფეხა; გ) ბალიშქვეშ;
- რომელია არასწორი შესიტყვება?
ა) ვახტანგს დაუკრეფია; ბ) კახაბერს დაუგეგმია; გ) ანას წაუკითხავს;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) კონტაქტი; ბ) ლირიული; გ) პროზული;
- კავშირი არის:
ა) ფორმაუცვლელი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;
ბ) ფორმაუცვლელი და სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი
გ) ფორმაცვალეზადი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;

19. რომელია მაჯგუფებელი კავშირი?
 ა) და ბ) ან-ან; გ) ესე იგი;
20. რომელ წინადადებაშია სწორად გამოყენებული სხვათა სიტყვის ნაწილაკი?
 ა) „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.“
 ბ) „ამიტომ გეუბნებოდი, დროზე ჩამოდიო.“
 გ) „წადი და ყოველივე უამბოსო.“

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

21. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადების მთავარი წევრები?
 ა) უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება;
 ბ) ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება;
 გ) შემასმენელი, პირდაპირი დამატება, გარემოება;
22. პირდაპირ დამატებას აქვს შემდეგი ბრუნვები:
 ა) სახელობითი და მიცემითი; ბ) სახელობითი და მოთხრობითი; გ) მიცემითი და ნათესაობითი;
23. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ზემოდან ქვემოთ განათდა მტკვრის ხეობა.“
 ა) ქვემდებარე; ბ) გარემოება; გ) უბ.დამატება;
24. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „არაბი აბო ხაზარეთში მოინათლა.“
 ა) განსაზღვრება; ბ) უბრალო დამატება; გ) შემასმენელი;
25. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?
 „აბოს მოშურნეები ახლადდანიშნულ ამირასთან მივიდნენ.“
 ა) დამატება; ბ) განსაზღვრება; გ) ქვემდებარე;
26. რომელ წინადადებაშია გამოყენებული შედგენილი შემასმენელი?
 ა) წარმოუდგენელია ამ გამოცდების ჩაზარება.
 ბ) „ვდგავარ ხატის წინ ანთებულ სანთლად.“
 გ) უკვე იგრძნობა ზამთრის მოახლოება.
27. რომელია სწორად დაწერილი მსაზღვრელ-საზღვრული?
 ა) ქალბატონ თინათინის; ბ) ქალბატონი თინათინის; გ) ქალბატონ თინათინით;
28. რომელ წყვილშია მართვა?
 ა) ყინულის სახლი; ბ) მშვენიერო ფიქრებო; გ) მთაში გადახვეწილი;
29. რომელ წყვილშია შეთანხმება?
 ა) ღამის ოცნება; ბ) მაღლიანი ველები; გ) ლამაზად უქარგავდა.
30. რომელ წყვილშია მირთვა?
 ა) გაჭირვებით გაზრდილი; ბ) უცნაური ნახატი; გ) დედა გმირისა;

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

31. რა ერქვა სასახლის ეპისკოპოსს იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამებაში“?
 ა) სამოელი; ბ) აფოცი; გ) იოანე;
32. რას ნიშნავს გამოთქმა - „უწყი მე“ ძველ ქართულში?
 ა) ვიცი მე; ბ) ვუამბე მე; გ) მოწყენილივარ მე;
33. რომელი შესიტყვებაა სწორი?
 ა) ოდნავ მოსქელო; ბ) ოდნავ მოგრძო; გ) ოდნავ ნოტიო;
34. „არქაული“ ნიშნავს:
 ა) ძველს; ბ) თავადურს; გ) მშობლიურს;
35. „აბრეშუმი“ არის
 ა) წითელი; ბ) ჭიჭნაუხტი; გ) ლამაზი;